

**დადგენილება 21/2020** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე “მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ შემოსული საპროექტო განაცხადის შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ

დადგენილება № 21/2020

23 აპრილი, 2020

დადგენილება 21/2020 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე “მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ შემოსული საპროექტო განაცხადის შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 აპრილის N14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

#### **აკადემიური საბჭო ადგენს:**


1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე “მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობა“ შემოსული საპროექტო განაცხადის შიდასაკონსერვატორიო კონკურსის შეფასებით შერჩეულ იქნა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის პროექტი „აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონების სამუსიკო ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციისათვის“ ( საპროექტო განაცხადის ხელმძღვანელი ქეთევან მათიაშვილი).
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'Nana Shariqadze'.